# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

SCIENTIA POTESTAS EST
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAE UNIVERSITAS RERUM TECHNICI
1922

დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებგვერდს http://gtu.ge/architecture

ასევე სოციალურ ქსელ ფაისბუქზე:
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

E-meil: arch@gtu.ge

Tel: (+ 995 32) 2337133

ფაკულტეტის მისია

- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მისიაა შემოქმედებითად მოაზროვნე, პრაქტიკაზე ორიენტირებული, მაღალკვალიფიციური, ადგილობრივ და საერთაშორისო დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადება, რომელიც მზად იქნება ღირსეულად უპასუხოს არქიტექტურის მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევებს.
- სლოგანი:
- აკადემიური სივრცე შემოქმედებითი აზროვნებისთვის
- დამტკიცდა ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა: სტუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ 2 აპრილი, 2018 წ. დადგენილება № 01–06–02/29

## არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტრუქტურა



- ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა “არქიტექტურა” (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), ხოლო ორ საფეხურზე - საგანმანათლებლო პროგრამა “არქიტექტურათმცოდნეობა”.
- რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „არქიტექტორტექნიკოსი“

# ბაკალავრიატის პროგრამა “არქიტექტურა”-ს სტრუქტურა



# მაგისტრატურის პროგრამა “არქიტექტურა”-ს სტრუქტურა



# დოქტორანტურის პროგრამა “არქიტექტურა”-ს სტრუქტურა



პერსონალი სულ 130 თანამშრომელი:

21 სპეციალისტი (9 მთავარი სპეციალისტი; 8 უფროსი სპეციალისტი; 4 სპეციალისტი) 1 ლაბორატორიის გამგე, 1 უფროსი ლაბორნტი, 1 ლაბორანტი

- აკადემიური პერსონალი
- 49 აკადემიური პერსონალი: 10 პროფესორი;
- 21 ასოცირებული პროფესორი;
- 13 ასისტენტ პროფესორი
- 4 ასისტენტი

- მოწვეული პერსონალი
- 57 მოწვეული პერსონალი:
- 4 პროფესორი;
- 15 ასოცირებული პროფესორი;
- 9 უფროსი მასწავლებელი;
- 15 მასწავლებელი.

- სტუდენტები (ბაკალავრები, მაგისტრანტები, დოქტორანტები) - 885
- 1 კურსზე მივიღეთ – 149 ბაკალავრი
- 55 მაგისტრანტი პროგრამა „არქიტექტურა“–ზე
- 1 მაგისტრანტი პროგრამა „არქიტექტურათმცოდნეობაზე“
- სულ: 122 მაგისტრანტი
- 19 დოქტორანტი (18 – პროგრამა არქიტექტურა, 1–პროგრამა–არქიტექტურათმცოდნეობა)
- მობილობა გარე – 14 შიდა – 12
- დაამთავრა – 93 ბაკალავრმა
- 41 – მაგისტრანტმა
- 3 (?) – დოქტორანტმა.(სულ – 57 დოქტორანტი)



ხატვის, ფერწერის და ქანდაკების სახელოსნოები;
https://www.facebook.com/xatvisdepartamenti/



ზურაბ ტიტვინიძე
ZURAB TITVINIDZE

პლასტიკური არქიტექტურული მოდელირების სტუდია

The introduction of volumetric, conceptual and plastic modelling methods, refining this progressive methodology and integrating, in parallel with architectural graphics, traditional and digital methods in teaching is a significant component of the first two years of study at the Faculty of Architecture, Urban Planning and Design. This is confirmed by the engagement and growing interest of students in learning the 'language of architecture' and by the quality of their work during the past two and a half years.









# არქიტექტურის პოეტიკა

# POETICS OF ARCHITECTURE

1.




2.



3.



4.

1. სტუდიის ემბლემა; 2. „პილიგრიმები" (იხ. ქვემოთ); 3. „პოეზიის სასახლე" თბილისში (არქიტექტორი და მოქანდაკე შ. ბოსტანაშვილი, 1999-2001); 4. სტუდიის მსმენელთა ერთი ჯგუფი (2008წ.) - მარცხნიდან: თ. ცანავა, ე. მალუტაშვილი, დ. ბოსტანაშვილი (სტუდიის პედაგოგი), ე. დარჯანია, ო. იოსელიანი, შ. ბოსტანაშვილი (სტუდიის ხელმძღვანელი), მ. მარგალიტაშვილი, ს. მაყაშვილი, მ. გიგუაშვილი

1. Studio logo; 2. The Pilgrims (see below); 3. „The Palace of Poetry" in Tbilisi (architect and sculptor Sh. Bostanashvili, 1999-2001); 4. A group of students of the studio (2008) - from left to right: T. Tsanava, E. Malutashvili, D. Bostanashvili (pedagogue of the studio), E. Darjania, O. Ioseliani, Sh. Bostanashvili (founder of the studio), M. Margalitashvili, S. Makashvili, M. Giguashvili

- არქიტექტურული ფიზიკისა და მულტიმედიური პროექტირების ლაბორატორია;
- არქიტექტურული განათლების ხელშემწყობი სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ცენტრი;
- მდგრადი არქიტექტურის განვითარების ლაბორატორია, რომელიც შეიქმნა და ფუნქციონირებს შპს ვუდსერვისი დახმარებით.

- ქალაქთმშენებლობითი ეკოლოოგიის პრობლემების შემსწავლელი სასწავლო.

* კონკურსი გუდაურში– არქჰაბი

*სტუდენტთა განვითარების ფონდი*

* 2016 წლიდან ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სტუდენტთა განვითარების ფონდი, რომელის დააფუძნა ახალგაზრდა პედაგოგმა მამუკა ბარათაშვილმა. ფონდის მიზიანია სტუდენტებს ხელი შეუწყოს საკონკურსო მოღვაწეობაში და დასაქმებაში. და კარიერულ წინსვლას.
* https://www.facebook.com/






7 რჩევა როგორ მივაღწიოთ წარმატებას საერთაშორისო კონკურსებში
1. განსაზღვრე შენი მიზანი
2.შეარჩიეთ კარგი გუნდი
3.შეისწავლეთ კონკურსის მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები
4.დაიცავით ბალანსი კონცეფციასა და პრაქტიკულობას შორის
5.კარგი პრეზენტაცია ნიშნავს წარმატებულ პროექტს
6.დაელაპარაკეთ მეგობრებს და კითხეთ მათ მოსაზრებები
7. იყავი კარგი თვით პრომოუტერი

# სასწავლო–სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისია

## კომისიის წევრები

1. პროფესორი თენგიზ მახარაშვილი – თავმჯდომარე
2. პროფესორი ნინო ხაზეიშვილი
3. პროფესორი ნინო იმნაძე
4. პროფესორი ვახტანგ ფირცხალავა
5. პროფესორი თინათინ ჩიგოგიძე
6. ასოც. პროფესორი გია ნაცვლიშვილი
7. ასოც. პროფესორი მაია დავითაია (მდივანი)

- სასწავლო–სამეცნიერო ლიტერატურიოს დარგობრივმა კომისიამ 2012 წლიდან დღემდე განიხილა 73 მონოგრაფია, სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მეთოდური მითითება, სამეცნიერო სტატია

2018 წელს ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლების მიერ მომზადდა 44 სახელმძღვანელი, დამხმარე სახელმძღვანელო და სალექციო კურსები, რომლებიც უშუალოდ ასახულია საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში.

# პროფესორ–მასწავლებლების მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები, სალექციო კურსები და სხვა.


























2017–18 წლიდან ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარებული სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენციები.








საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

მოხსენებათა კრებული

პირველი საერთაშორისო კონფერენცია
უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია:
სტრატეგიები და გამოწვევები

IHE 2017

THE FIRST INTERNATIONAL CONFERENCE –
INTERNATIONALISATION IN HIGHER EDUCATION:
STRATEGIES AND CHALLENGES

Co-funded by the Tempus Programme of the European Union




2017–2018 წ. ჩატარდა სტუდენტური სამეცნიერო–პრაქტიკული კონფერენცია.

კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო ტრენინგ კურსი: „მწვანე (მდგრადი) მშენებლობაში“.

- 2018 წლის 14 და 16 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მდგრადი განვითარების ლაბორატორიაში (აუდიტორია 403 ც) 12 საათზე შედგა ლექცია, რომელიც წარმოადგენს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო ტრენინგ კურსის „მწვანე (მდგრადი) მშენებლობაში“. კურსს გაუძღვა ზაალ ხელაძე, რომლის დახმარებითაც არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შეიქმნა და ფუნქციონირებს აღნიშნული ლაბორატორია. სასწავლო კურსს დაესწრნენ ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები და სტუდენტები ასევე დაინტერესებული პირები.



კურსში განიხილავს მწვანე მშენებლობის იდეოლოგიას, არსებული შენობებისათვის მწვანე სტატუსის მინიჭებას და შენობათა მენეჯმენტის მწვანე მეთოდილოგიებს, ინტეგრირებული დიზაინი სასწავლო ფორმატში 5 პრეზენტაციად. თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იყო ორი ვიდეო რგოლი (სულ: 120 სლაიდი). ტრეინინგ კურსი გაწერილია 4 აკადემიური საათისათვის. 3 აკადემიური საათი ჩატარდა 14 მარტს და ერთი საათი 16 მარტს.

- „კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო კურსი „მწვანე (მდგრად) მშენებლობაში“ განიხილება როგორც  პროდუქტი პროფესიის მაძიებელთა განათლებისთვის. კურსი დაეხმარება სამშენებლო სექტორში მოღვაწე გადაწყვეტილების მიმღებ პროფესიონალებს (არქიტექტორები, ინჟინრები, დეველოპერები, ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მოღვაწე ჩინოვნიკები და სხვ.) და საკითხით დაინტერესებულ მსურველებს მწვანე მშებნებლობის საფუძვლების დაუფლებაში.



- ასეთი სასწავლო მოდულის შექმნის აუცილებლობა გამოწვეულია ახალგაზრდა და ზრდასრულ ადამიანთა დასაქმების პოტენციალის გაზრდის სურვილით. მის მიზანს წარმოადგენს პროფესიონალი ტრეინერების მომზადება შემდგომში სხვაპიროვნებების გადასამზადებლად და მათთვის მწვანე მშენებლობის უნარ- ჩვევების გასაზიარებლად.

- სემინარი: „მწვანე არქიტექტურაში“
- 2018 წლის 17 აპრილს მდგრადი არქიტექტურის განვითარების ლაბორატორიაში, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის შედგა პირველი თემატური სემინარი: „ხის კონსტრუქციები“, რომელსაც გაუძღვა ლაბორატორიის ხელმძღვანელი ზაალ ხელაძე.
- სულ ჩატარდება 10 სემინარი. სემინარების ძირითადი მიზანია დავიცვათ სამყარო ეკოლოგიური კატასთროფისგან მდგრადი არქიტექტურის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე გათვალისწინებულია სტუდენტების მენტორებად მომზადება, რომლებიც რეგიონებში სკოლებში ჩაატარებენ ტრენინგებს.





http://ntc.ge/
https://www.facebook.com/NewTechnologyCenter.ge/?ref=settings

# სასწავლო პროექტი: „ბათუმის ცენტრის რეკონსტრუქცია“

- 2017-2018 სასწავლო წლის მეორე სემესტრის საკურსო პროექტის ფარგლებში 65211 და გოგოების ჯგუფი ამუშავებს ბათუმის ცენტრის რეკონსტრუქციის პროექტს. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტთან და ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურის სამსახურთან თანამშრომლობით პირველ სტადიაზე დამუშავებულ იქნა წინასაპროექტო კვლევა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად მოიცავს დოკუმენტურ და ფიზიკური გარემოს კვლევებსა და ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას.
- წინასაპროექტო კვლევის ფარგლებში 13-15 აპრილს განხორციელდა საველე სამუშაოები. 4 ჯგუფად განაწილებულ სტუ-ს სტუდენტებს შეუერთდნენ ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და ერთობლივი ძალებით განხორციელდა საპროექტო არეალში არსებული შენობა-ნაგებობების აღრიცხვა სართულიანობის, სიმაღლის, ფუნქციის, სტატუსისა და მდგრადობის მიხედვით.

- ვიზიტის ფარგლებში 14 აპრილს გაიმართა ვორქშოფი და პრეზენტაციები, რომელშიაც ახალგაზრდობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისელმა და ბათუმელმა მოქმედმა არქიტექტორებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და ოფიციოზის წარმომადგენლებმა.
- სამ დღიანმა საველე სამუშაოებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საპროექტო ტერიტორიის პრობლემებისა და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში, რაც აისახა პირველი შუალედური გამოცდის შედეგებზე.
- საბოლოო საკურსო პროექტის ჩაბარებამდე დაგეგმილია კიდევ ერთი ვიზიტი ბათუმში, სადაც დასაზუსტებელ საუშაოებთან ერთად განხორციელდება გაწეული სამუშაოების პრეზენტაცია ადგილობრივ პროფესიულ წრეებში და მერიის წარმომადგენლებთან.

# სასწავლო პროექტი „გორის მიწათსარგებლობის გენგეგმა“

- 2018 წლის 11 ივნისს "სითი ინსტიტუტი საქართველომ" და მისმა ხელმძღვანელმა მამუკა სალუქვაძემ სერტიფიკატები გადასცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს გორის მიწათსარგებლობის გენგეგმის წინასაპროექტო სამუშაოების წარმატებით შესრულებისთვის.



# სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი მაგისტრანტებისთვის თემა: „არქიტექტურის და ქალაქგეგმარების თანამედროვე პრობლემები – გამოწვევები“

- 2018 წლის 16–30 აპრილის ჩათვლით სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 403 ც და 506 ც. აუდიტორიაში ჩატარდა X სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარები: თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“–ის მაგისტრანტებმა.
- განხილული თემები: „რიკარდო ბოფილის საცხოვრისის იდეოლოგია“; „ფერი არქიტექტურაში (თბილისის თანამედროვე არქიტექტურის მაგალითზე)“; „თანამედროვე ბიბლიოთეკა“; „არქიტექტურა, როგორც ტრადიცია“; და სხვა.



## “Paper Architecture and Parametric Design” – „ქაღალდის არქიტექტურა და პარამეტრული დიზაინი“ Erasmus+ - სალექციო კურსი არქიტექტურის მიმართულებით

- 2018 წლის 19–23 მარტს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, Erasmus+ გაცვლითი პროექტის ფარგლებში, ეწვივნენ ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის (Faculty of Architecture/University of Lisbon – FA/ULisboa ) (პორტუგალია) პროფესორები ანტონიო კასტელბრანკო (Antonio Castelbranco) და პედრო მიგელ გომეშ ხანუარიო (Pedro Miguel Gomes Januario).
- პორტუგალიელი სტუმრები სტუ-ს სტუმრობდნენ სწავლების მიზნით Erasmus+ მობილობის პროექტის ფარგლებში, რომლის კოორდინატორია ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი.
- 2018 წლის 23 მარტს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 403 ც აუდიტორიაში პროფესორმა პედრო მიგელ გომეშ ხანუარიომ (Pedro Miguel Gomes Januario) ჩაატარა სემინარი და ვორქშოფი თემაზე: “Paper Architecture and Parametric Design” - პარამეტრული დიზაინი.

- სემინარი და ვორქშოფი განკუთნილი იყო ფაკულტეტის პედაგოგეგბისთვის და დოქტორანტებისთვის. პარამეტრული დიზაინი დღესდღეობით ერთ ერთი აქტუალური მიმართულებაა არქიტექტურაში. ეს არის მეთოდი შეიქმნას ტექტონიკური სტრუქტურები, ახალი ფენომენალური გააზრება საზოგადოებრივი სივრცეების ქალაქის სტრყქტურაში, რომლის განხორციელება შესაძლებელია სპეციალური კომპუტერული პროგრამების საშუალებით: Sketchup, Riner da Grasshopper.





ვორქშოფის მიზანი იყო პედაგოგეგბის და დოქტორანტების კვალიფიკაციის ამაღლება პარამეტრულ დიზაინში. ესწრებოდნენ ასოცირებული პროფესორები ნუგზარ ხვედელიანი, გურამ აბულაძე, დავით ბოსტანაშვილი, ნინო ჩაჩავა, ასისტენტ პროფესორი შოთა გელაშვილი, მასწავლებელი გურამ ხოსრუაშვილი, დოქტორანტი ნანა ლეკვეიშვილი, სტუდენტი ირაკლი ფანცხავა.

## სასწავლო – შემეცნებითი ტური კახეთში

2018 წლის 12 მაისს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, ინტერიერის და გარემოს დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პროფესორ თინათინ ჩიგოგიძის და სტუდენტების მიერ, საგანმანატლებლო პროგრამიდან გამომდინარე, ორგანიზებული იყო სასწავლო – შემეცნებითი ტური კეხეთში.

- სტუდენტებმა და პროფესორ–მასწავლებლებმა მოინახულეს: კახური ტრადიციული მეღვინეობის (KTW) ღვინის ქარხანა ველისციხეში და ყვარელში "მეღვინეობა ხარების" ტურისტული კომპლექსი.
 ტურის მიზანია გაცნობა ღვინის ქარხნების ინტერიერის თავისებურების. რაც მნიშვნელოვანია საკურსო პროექტის შესასრულებლად საგანში: „სამრეწველო შენობების ინტერიერის დაპროექტება“.















იდეის ავტორი და შემსრულებელი ვ. გელაშვილი

ელექტრონული ყოველწლიური ჟურნალი „დაიჯესტი"


B3




B4


M1




Architectural Digest
12. 11. 2016


B2
18


B3
18


საცხოვრებელი
სახლი
18
B4


18
ბაკალავრიატი
B4


B4


M1
სასამართლო


M1


M1










კონკურსი იმართება ორ წელიწადში ერთხელ. 2017 წელს მამუკა ბარატაშვილის პროექტი მოხვდა ხუთ საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევართა შორის.




2018 წ. არქიპრიკსის კონკურსზე გაიგზავნა ნატალია ბეზარაშვილის პროექტი:"ფსიქიატრიული კლინიკა", ხელმძღვანელი დათო ბოსტანაშვილი




სამაგისტრო ნაშრომის თემა: ფსიქიატრიული კლინიკა პალიასტომის ტბასთან
მაგისტრი: ნატალი ბეზარაშვილი; ხელმძღვანელი: დავით ბოსტანაშვილი

საერთაშორისო პროექტები– ვორქშოფები – 2017 წ. ოქტომბერი.





თემაზე: „დიდუბის არეალის კვლევა და საპროექტო წინადადებების შემუშავება“.

მონაწილეობა მიირეს ვენის ტექნოლოგიური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტის და სტუ – ს არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრანტებმა

## Seminar and workshop with Friedrich Kuhlmann: “Perceiving the dynamics in changing urban landscapes” 10/11 april 2017

- 2017 წლის 11 აპრილს გერმანელი არქიტექტორის ფრიდრიხ კულმანის ხემძღვანელობით არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა ვორქშოფი თემაზე: „ცვალებადი ურბანული ლანდშაფტის დინამიკის შესწავლა“. ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებმა: ანი გიგანი, ალექსანდრე გაჩეჩილაძე, ლევან ქართველიშვილი, გივი თოფურია, ნინო გარდავა, ნინო ლომიძე, ნიკო გურჯიევი, ანდრო ასათიანი, ანი წიქორიძე, ანეტა კიკნაძე. 2017 წლის 4 ივლისს სტუდენტებს  გადაეცათ სეთიფიკატები ვორქშოფში მონაწილეობისთვის.



## ვორქშოფი პოლონელ ურბანისტ პიოტრ ლორენსთან ერთად ქ. თელავში

- 2018 წლის 19 იანვარს ი.გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შპს „ატელიე არქიტექტს“–მა ინიციატივით, ჩატარდა „ვორქშოფი“, თელავის გენერალური გეგმის კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბებისთვის, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები,
- „ვორქშოფს“ უძღვებოდა შპს „ატელიე არქიტექტს“ მიერ მოწვეული სტუმარი, პროფესორი პიოტრ ლორენსი.



## არქიტექტურული ოლიმპიადა

- 2018 წლის 1 მაისიდან – 16 ივნისის ჩათვლით სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა არქიტექტურული ვორქშოფი თემაზე: „გარაჟი“ – პოტენციური საჯარ სივრცე, ავტოფარეხების გადააზრება, ტრანსფორმაცია და ადაპტაცია



„გარაჟი“ – პოტენციური საჯარ სივრცე ავტოფარეხების გადააზრება, ტრანსფორმაცია და ადაპტაცია

# სტუდენტური კონკურსი: საუკეთესო არქიტექტურული პროექტი –2018





# სტუდენტური კონკურსი: „საუკეთესო ინტერიერის პროექტი“– 29 მარტი, 2018





2017  წელს ჩატარდა XXXV კლაუზურა კონკურსი: „ქაღალდის არქიტექტურა“





2017 წლის 18 დეკემბერს არქიტექტორთა კავშირში შედგა  წლის საუკეთესო სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების კონკურსი და გამარჯვებულების დაჯილდოება. კონკურსი ტარდება ყოველწლიურად არქიტექტურის დღის ფარგლებში.



„მოცულობითი არქიტექტურა“-ის ნომინაციაში  საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევრისთვის დიპლომი და არჩილ და ქეთევან ქურდიანების სახელობის პრემია მიენიჭა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრს ივანე ებრალიძეს პროექტში „ახალი სკოლა ავლაბარში 480 მოსწავლეზე“ ხელმძღვანელი სტუ - ს პროფესორი მედეია მელქაძე.



ამავე ნომინაციაში მონაწილის დიპლომი გადაეცა გიორგი არევაძეს, საცხოვრებელი ხელმძღვანელი მ. მელქაძე (სტუ.)

ნომინაცია რესტავრაცია, რეგენერაცია, რეკონსტრუქცია საუკეთესო სამაგისტრო ნამუშევრისთვის დიპლომი გადეცა დავით უგრეხელიძეს. თემა: ‘ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ისტორიული შენობის რეაბილიტაცია“; ხელმძღვანელი გიული გეგელია (სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი)





2018 წლის 6 დეკემბერს არქიტექტორთა კავშირში შედგა  წლის საუკეთესო სამაგისტრო სადიპლომო ნამუშევრების კონკურსი და გამარჯვებულების დაჯილდოება.




- ნომინაცია:“მოცულობითი არქიტექტურა“
- ეკა ბარბაქაძე თემა: „ეკოლოგიის ინსტიტუტი 500 სტუდენტზე“; ხელმძღვანელი: მ. მელქაძე




ნომინაცია: „მოცულობითი არქიტექტურა“; თამარ ქსოვრელი თემა: მეღვინეობა რაჭაში“ ხელმძღვანელი ნ. იმნაძე

- ნომინაცია „ლანდსაფტის არქიტექტურა“
- ლაშა გოგიჩაიშვილი თემა „საგასტროლო თეატრი რიყეზე“ ხელმძღვანელი მ. მელქაძე (მონაწილის დიპლომი)
- ნომინაცია „ინტერიერის და დიზაინი“(საუკეთესო სამაგისტრო ნამუშებრისთვის დიპლომი)
- ანა ფეიქრიშვილი თემა „კომაროვის პანსიონის ინტერიერის პროექტი“ ხელმძღვანელი თ. ჩიგოგიძე
- ნომინაცია „გარემოს დიზაინი“
- ნუცა დემეტრაშვილი თემა: „ქ. თბილისში საპარგინგე სისტემის დიზაინ პროექტი“ხელმძღვანელი ნ. ხაზეიშვილი

# სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი პარიზში

- 2018 წლის 5 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა უკვე ტრადიციული სერჟი-პონტუაზის ქალაქგეგმარების საზაფხულო ვორკშოპი (პარიზის რეგიონი, საფრანგეთი). სერჟი-პონტუაზის ვორკშოპები იმართება 1982 წლიდან და ყოველი სესია გარკვეულ თემას ეძღვნება. სესიის მსვლელობისას საერთაშორისო სტუდენტებისგან დაკომპლექტებული ჯგუფები ერთი თვის მანძილზე ეცნობიან სხვადასხვა საინტერესო ადგილებს, ამუშავებენ წინადადებებს და სესიის ბოლოს წარადგენენ პროექტს. წლევანდელი სესიის თემა იყო „ცხოვრება მეტროპოლიტენის არეალში“.





ჩვენი ფაკულტეტი, სახელოსნოს დაარსების დღიდან თითქმის ყოველ წელს აგზავნის სტუდენტების პროექტებს საფრანგეთში, ვორკშოპში მონაწილეობის მისაღებად. წელს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენელი იყო მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი გვანცა ცქიფურიშვილი. სესიაში მონაწილეობის მისაღებად მან გაიარა კონკურსი, რისთვისაც ვორკშოპზე წინასწარ გააგზავნა დამუშავებული თემა თბილისი-რუსთავის ურბანულ-რურარული კავშირების შესახებ. (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. დ. ბოსტანაშვილი).

გვანცამ ერთი თვის მანძილზე იმუშავა ხუთი სტუდენტისგან შემდგარ ჯგუფში, რომელთა შორის იყვნენ არქიტექტორი, ლანდშაფტის დიზაინერი და ურბანული სოციოლოგი. დანარჩენ სამ ჯგუფთან ერთად, საკუთარი შემუშავებული პროექტი „დაკავშირებულობა და მრავალფეროვნება“ (Connectivity and Diversity) წარადგინა ფართე აუდიტორიის (მათ შორის 30 კაციანი ჟიურის) წინაშე, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც სპეციალისტები ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ რეალური ბერკეტები სტუდენტების მიერ შემოთავაზებული იდეები გამოიყენონ





ამ პროექტის მიხედვით, პარიზის რეგიონიდან, შეირჩა 6 ძირითადი ტერიტორია, რომელთაგან პრეზენტაციაზე დეტალურად 2 იქნა განხილული - ქ.პარიზის სენ დენის რაიონი და ქ. ვენდომი, მათი განსხვავებული ხასიათისა და პრობლემატიკის გამო. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი ხასიათისა და რესურსის აღმოჩენა, წინ წამოწევა და მათი გათვალისწინებით სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება ამა თუ იმ არეალზე, რაც ადამიანების, სამეზობლოების, ქალაქებისა და რეგიონების უკეთეს კავშირს და რესურსების გაზიარებას შეუწყობს ხელს. გუნდის მთავარი კონცეფცია სწორედ ამ აქტივობებს ე.წ. „მარცვლებს" ეყრდნობოდა, რომელიც მომავალში ტყედ იქცევა და უფრო დიდ მასშტაბებზე იქონიებს გავლენას; კონცეფციის გასამყარებლად მოყვანილი იყო სხვადასხვა ქვეყნების ადგილობრივი მაგალითები, მათ შორის ფესტივალები ინდოეთიდან და ძველი ფაბრიკა-ქარხნების ადაპტაციის მაგალითები საქართველოდან.

- საბოლოოდ პროექტმა სხვა სამ წინადადებასთან ერთად დიდი მოწონება დაიმსახურა ჟიურის მხრიდან. გარდა ამისა, მონაწილეებმა გაიცნეს პარიზის რეგიონის მრავალი საინტერესო ადგილი და ერთმანეთს გაუზიარეს კულტურული გამოცდილებები. ატელიეს ყოველწლიური ვორკშოპები იმართება სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში და აფრიკის კონტინენტზე.



Kazakh Leading Academy of Architecture and Construction, VIII International Festival of Architectural, Civil Engineering and Design Schools of Eurasia. 16-17th of November 2018 in Technical University of Moldova (the Republic of Moldova).







სამაგისტრო თემა: შ. რუსტაველის
სახ. აეროპორტი ტბილისში;
მაგისტრანტი დავით კომახიძე;
ხელმ. ნ. იმნაძე

სამაგისტრო თემა:
მაგისტრანტი ეკა ბარბაქაძე
ხელმძ. მ. მელქაძე







თამარ ქსოვრელი
მეგი სომხიშვილი
ვერიკო ბაბუციძე

თალიკო ონიანი

## *გამოფენა–კონკურსი "არქიტექტურული კომპოზიცია"*






- 2018 წლის 12 აპრილს გალერეა „ვანდაში" მოეწყო სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტების საკურსო ნამუშევრების გამოფენა – კონკურსი „არქიტექტურულ კომპოზიციაში". „არქიტექტურული კომპოზიციის" მიზანია სტუდენტს განუვითაროს ვიზუალურ–სივრცითი წარმოდგენის უნარი, რაც თავის მხრივ, არქიტექტურული ობიექტის შექმნის საფუძველია.

2017 წლის 5 ივლის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვესტიბულში გაიხსნა სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა „ქანდაკება“. გამოფენის ორგანიზატორია ‘სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი.





თბილისის V საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი–კონკურსი Vakhtang Chabukiani Tbilisi V International Choreographic Festival-Competition

- 2018 წლის 1 აპრილს საქართველოს პედაგოგ–ქორეოგრაფთა ასოციაციის (Georgian Teacher-choreographer Association) მიერ ჩატარდა თბილისის V საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი–კონკურსი (Vakhtang Chabukiani Tbilisi V International Choreographic Festival-Competition).












გამოფენა „პლაკატი" სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში

# გამოფენა–კონკურსი „ასოციაციები“

- 2018 წლის 16 აპრილს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მოეწყო „არქიტექტურის თეორიის“ მიმართულების სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენის გახსნა და დაჯილდოება.





საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის და ჟურნალ „STYLE” -ს ორგანიზებით ტარდება მე-12 საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი „არქიტექტურული პრემია 2017“ .

- კონკურსში  მონაწილეობას ღებულობენ სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგები და სტუდენტები. საკონკურსო პროექტები შეგიძლიათ დაათვალიეროთ საიტზე www. Archiaward.com.



ნომინაცია „სტუდენტური პროექტი“
გაიმარჯვა მაგისტრანტმა: დავით კომახიძემ. ხელმ. გ. ნადირაძე



IV

ფასადი მ.1:200







ჭრილი 3-3 მ.1:200



ჭრილი 1-1 მ.1:200

















# ნომინაცია „არქიტექტურული პროექტი“

- სასტუმრო შეკვეთილში
- ავტორი სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგი ვასილ ქობულია, ტანაავტორები გივი და გიოეგი ქობულიები







# ნომინაცია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი რეალიზებული



სახლი წყნეთში, ავტორი სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგი ვასილ ქობულია, ტანაავტორები გივი და გიორგი ქობულიები

**ამჟამად ფაკულტეტს აქვს მჭიდრო ურთიერთობა უცხოეთის შემდეგ არქიტექტურულ სკოლებთან:**

- Les Ateliers Internationaux De Maitrise D'oeuvre Urbaine.
- Milan Polytechnic University, Faculty of Architecture Politecnico di Milano.
- Technische Universitat Kaiserslautern, Fachbereich Architektur, Raum-und Umweltplanung, Bauingenieur.wesen
- Universita Deglistudi Di Roma "La Sapienza", Dipartimento Di Architettura E Analisi Della Citta.
- Universita Della Svizzera Italiana, Academia di Architettura
- Czech Technical University in Prague

ჩვენი არქიტექტურული სკოლის ავტორიტეტის ამაღლებას ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს მრავალი აღიარებული არქიტექტორი არის ჩვენი ფაკულტეტის საპატიო პროფესორი (Professor Honoris Causa).







ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ–მასწავლებლები და სტუდენტები მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურსის ლაურიატები არიან.





2018 წელს ჩვენს ფაკულტეტზე ბაკალავრიატის ქართულ და რუსულენოვან პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველი აბიტურიენტები აბარებენ ეროვნულ გამოცდებს უნარ–ჩვევებში (კოეფიციენტი–4); ქართულში–4; უცხო ენაში–2 და ერთ–ერთ არჩევით საგანში: მათემატიკა, ლიტერატურა, ან სახვითი ხელოვნება –2. ამის გარდა ეროვნული გამოცდების დაწყებამდე აბიტურიენტებმა უნდა გაიარონ გასაუბრება ხატვასა და ხაზვაში.




საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

**სწავლა ფაკულტეტზე წარიმართება პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.**

მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. (IV საფეხური) სწავლის ხანგრძლივობა 18 სასწავლო თვე.

**უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა სამსაფეხურიანია:**

I საფეხური: ბაკალავრიატი – 4 წელი;
II საფეხური: მაგისტრატურა – 2 წელი;
III საფეხური: დოქტორანტურა–3 წელი.



ჩვენი მისამართია:
თბილისი, კოსტავას ქ. № 72, სტუ-ს I-C კორპუსი,
მე-4 სართული. ტელეფონი: 2-33-71-63.
ვებ–გვერდი http://architecture.gtu.ge

# არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ ერთეულს. მის შემადგენლობაში შედიან სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები.

ფაკულტეტი ახორციელებს სტუდენტთა მომზადებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნუსხის ერთ ან რამოდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის და/ან პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭებას.

ფაკულტეტზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას უძღვებიან "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სათანადო ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულები.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევების განხორციელება:

- საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური პროგრამები;
- პროფესიული განათლების პროგრამა:
- სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმართვა;
- საპროექტო, საექსპერტო, საკონსულტაციო და სააუდიტორო საქმიანობა.







ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ენიჭებათ შემდეგი კვალიფიკაციები:

**პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ:**

- არქიტექტორ ტექნიკოსის

**ბაკალავრიატის ქართულ და რუსულ ენოვანი პროგრამის დასრულების შემდეგ:**

- არქიტექტურის ბაკალავრის (8 სემესტრი _ 240 ECTS კრედიტი);

**მაგისტრატურის დასრულების შემდეგ:**

- არქიტექტურის მაგისტრის ( 4 სემესტრი–120 ECTS კრედიტი) შემდეგი შესაძლო მიმართულებებით:
- შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა და ურბანული დაგეგმარება;
- ლანდშაფტური არქიტექტურა;
- გარემოს დიზაინი;
- ინტერიერის დიზაინი;

**მაგისტრატურის პროგრამა არქიტექტურა მცოდნეობა:**

ხელოვნება მცოდნეობის მაგისრი ( 4 სემესტრი–120 ECTS კრედიტი)





**არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ხორციელდება სადოქტორო პროგრამები** ( 6 სემესტრი 180 ECTS კრედიტი ):
პროგრამა "არქიტექტურა "- მისანიჭებელი კვალიფიკაცია არქიტექტურის დოქტორი;
პროგრამა "არქიტექტურათმცოდნეობა" - მისანიჭებელი კვალიფიკაცია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
ინგლისურენოვანი პროგრამა "ურბანისტიკა (ურბანული დაგეგმარება)" - მისანიჭებელი კვალიფიკაცია არქიტექტურის დოქტორი;

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს მდგრადი განვითარების არქიტექტურის ცენტრი, არქიტექტურული ფიზიკის და მულტიმედიური პროექტირების ლაბორატორიები.
შ. ბოსტანაშვილის სახ. არქიტექტურის პოეტიკის სტუდია. ქალაქთმშენბლობითი ეკოლოგიის პრობლემების შემსაწვლელი სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

ორგანიზებულია ფაკულტეტის ლოკალური სამომხმარებლო საგანმანათლებლო ელექტრონული ქსელი, სადაც განთავსებულია ელექტრონული ინტერაქტიური სასწავლო კონტენტი.

ფაკულტეტის რამოდენიმე აუდიტორია აღჭურვილია მულტიმედიური პროექტორით. სტუდენტებს აგრეთვე აქვთ კომპიუტერებით ინდივიდუალურად სარგებლობის საშუალებაც. მულტიმედიური პროექტირების ლაბორატორიას გააჩნია Autodesk–ის და Graphisoft–ის ლიცენზირებული პროდუქტები.



## EASMUS+ Credit Mobility - საერთაშორისო მობილობა პედაგოგებისთვის

- 2017 წლის 21 მაისიდან – 29 მაისის ცათვლით – მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში – ნ. იმნაძე; ლექციები წაიკითხა დოქტორანტებთან:"მიმდინარე პროცესები ქარტულ არქიტექტურაში; სამრეწველო არქიტექტურის ტრანსფორმაციის სამი ეპიზოდი თბილისის მაგალითზე.
- 2018 წლის 20 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე (პორტუგალია) აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, სწავლების მიზნით იმყოფებოდნენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი ნინო იმნაძე და ასოცირებული პროფესორი ნათია ქოჩლაძე.



მათ წაიკითხეს ლექცია: „ტრანსფორმაცია არქიტექტურაში" და „კლიმატის გავლენა ქართული საცხოვრებლის ინტერიერის ჩამოყალიბებაზე". ლექციას ესწრებოდნენ ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის მაგისტრანტები და მათი პედაგოგეგბი: პროფესორები ანტონიო კასტებლანკა და პედრო როდრიგესი. გარდა ლექციისა საგანში: „არქიტექტურული პროექტირება" ქართველმა პედაგოგეგბმა მონაწილეობა მიიღეს საკურსო პროექტების განხილვაში.

## საჯარო ლექციები

- „ახალი ზანას“ სამონასტრო-საგანმანათლებლო და კულტურულ-საზოგადოებრივი ცენტრი
- 2018 წლის 17 იანვარს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე (14 საათზე 403ც აუდიტორიაში) მოეწყო პროფესორ-მასწავლებლებელტა და სტუდენტთა შეხვედრა სურამის და ხაშურის ეპარქიის მმართველ-მღვდელმთავარ ეპისკოპოს, მეუფე სვიმეონთან. მეუფე სვიმეონმა დამსწრეებს გააცნო სურამის და ხაშურის ეპარქიაში, ზემო სერას ტერიტორიაზე ახალი ზანას ტაძრის მშენებლობის კონცეფცია. ახალი ზანას ტაზრის საძირკველის საზეიმო კურთხევა მოხდა 2017 წლის 15 ივლისს.



შეხვედრა არქიტექტორ გიორგი ბაგრატიონთან

- 2018 წლის 4 აპრილს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შხვედრა არქიტექტორ გიორგი ბაგრატიონთან. შეხვედრის მიზანი იყო მაგისტრანტების ჩართვა სამეცნიერო–პრაქტიკულ სამუშაოში. კერძოდ: „თბილისის, შიდა ქართლის და ქვემო ქართლის ხუროთმოძღვრული ძეგლების ინტერაქტიული, ისტორიულ–გეოგრაფიული რუქის და საცნობარო–საილუსტრაციო მონაცემთა ბანკის შექმნა“.



# GRAPHISOFT. ARCHICAD - ტრენინგი პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის

- 2018 წლის 22 მარტს ევროპის სააქციონერო საზოგადოების გრაფსოფტი – უნგრეთი წარმომადგენლების მიერ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო მოხსენება და ტრენინგი ARCHICAD 21–ში. ლექცია და მასტერ კლასის მიზანია ტექნიკური ცოდნის პოპულარიზაცია, სასწავლო ცენტრების უზრუნველყოფა პროგრამებით ARCHICAD და თანამედროვე ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიების დანერგვა სასწავლო პროცესში (BIM – Building Information Modeling).



# შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან

- 2018 წლის 24 თებერვალს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შეხვედრა დამსაქმებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. შეხვედრაზე მთავარ საკითხად განხილული იქნა ის გამოწვევბი, რომელიც დღევანდელი მდგომარეობით დგას არქიტექტურის სფეროში, როგორც სასწავლო ისე პრაქტიკაში მოღვაწეობის კუთხით.

- შეხვედრას ესწრებოდნენ მოწვეული ექსპერტები (დამსაქმელები): გიორგი აბულაძე (სტუდია 21), გიორგი გოცირიძე (გეოგრაფიკი), ირაკლი შარაშიძე (დეფანსი), გიორგი სულაბერიძე (არტ–სტუდიო), ლადო აბრამიშვილი (დემარკი). ფაკულტეტის მხრიდან დეკანი ნინო იმნაძე, ხარისხის სამსახურის უფროსი ნინო ხაბეიშვილი, ურბნისტიკის მიმართულების წამყვანი პროფესორი გიორგი სალუქვაძე, სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“ ხელმძღვანელი პროფესორი ლევან ბერიძე, საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“ ხელმძღვანელი პროფესორი ნიგზარ ხვედელიანი, ინტერიერის და გარემოს დიზაინის დეპარტამენტის ხელმძღვანელო პროფესორი თინათინ ჩიგოგიძე, პროფესორი ირაკლი მურღულია, პროფესორი ნინო ჩხეიძე და პროფესორი ნინო გვანცაძე.

- მწვავე დებატები გაიმართა რიგ საკითხებთან დაკავშირებით; კერძოდ რა გამოწვევბი დგას დღეს საპროექტო ბაზარზე? როგორი კადრები ესაჭიროება დარგს? როგორ მოვახდინოთ ფაკულტეტზე სწავლების დონის ამაღლება?
- საბოლოოდ გადაწყდა დაიგეგმოს რიგი ღონისძიებები (კონფერენცია, სემინარი, სტუდენტური კონკურსი, ვორქშოფები, საჯარო ლექციები, ინტეგრირებული პროექტები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად, რეალურ პროექტებში ჩართვა და ადგილზე გასვლის ორგანიზება, კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და ტექნიკური უზრუნველყოფა და სხვა), რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სტუდენტებში მოტივაციის ამაღლებას და წახალისებას.

## *შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციებთან*

- 2018 წლის 5 მარტს შედგა შეხვედრა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სსიპ აწარმოე საქართველოში წარმომადგენელთან, ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტის პორთფელის მენეჯერთან ეკატერინე სარალიძესთან. შეხვედრის მიზანი იყო არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო მეთოდიკის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების გაცნობა. ქალბატონმა ეკატერინემ აღნიშნა, რომ მზად არის ითანამშრომლოს არქიტექტურის ფაკულტეტთან და ხელის შეგვიწყობს, როგორც დამსაქმებელ ორგანიზაციებთან კონტაქტების დამყარებაში ასევე ღონისძიებეის დაგემავა და განხორციელებაში.



2018 წლის 15 მარტს დამსაქმებელ ორგანიზაციატა შეხვედრის ფორმატში მოექყო შეხვედრა კურსდამთავრებულებთან: შპს „ემ სტუდიოს" დირექტორთან რობიზონ გეთიაშვილთან და შპს „ურბან დიზაინ სტუდიოს" დირექტორტან ლუდა ჩიქოვანთან. დღეს ეს ახალგაზრდები ეწევიან დამოუკიდებელ პრაქტიკულ მოღვაწეობას, სურვილი გამოთქვეს თანამშრომლობაზე, სხადასხვა ღონისძიებეში ჩართულობაზე, სტუდენტებისთვის დასაქმების ხელშეწყობაზე და სხვა.

შეხვედრა დამსაქმებელ ორგანიზაციებთან

- შპს „ემ სტუდიოს“ დირექტორთან რობიზონ გეთიაშვილთან.
- შპს „ურბან დიზაინ სტუდიოს“ დირექტორთან ლუდა ჩიქოვანთან.
- სააქციო საზოგადოება „ორბელი 91“ –ის დირექტორთან ბესარიონ ჩხაიძესთან.



*შეხვედრა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებსა და არქიტექტურული და ინტერიერის დიზაინის სექტორში მოღვაწე კომპანიებთან - „უნივერიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმა“*

- 2018 წლის 27 აპრილს, სასტუმრო თბილისი მარიოტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის მიმართულების ორგანიზებით, „უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის პლატფორმის“ ფარგლებში, შედგა შეხვედრა სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებსა და არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის სფეროში მოღვაწე 30-ზე მეტ კომპანიას შორის.
- ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა. დეკანმა ნინო იმნაძემ დამსწრეებს წარუდგინა პრეზენტაცია ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები. რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო დამსაქმებლებისთვის. მოისმინეს აღნიშნულ სფეროში მოღვაწე ადგილობრივი კომპანიების მოსაზრებები. ღონისძიება, რომელიც დისკუსიის ფორმატში წარიმართა, მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სექტორის კერძო სექტორთან სისტემური დაახლოების ხელშეწყობას, კერძო სექტორის მოთხოვნებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, რათა ეფექტურად დაიგეგმოს სამომავლო აქტივობები.
- http://enterprisegeorgia.gov.ge/ge/media-center/news/universitetebTan-TanamSromlobis-platformis-meore-RonisZieba?id=700

- On April 27, in the Hotel Tbilisi Marriott public and private universities met more than 30 companies, which are working in the field of Architect and Interior Design. This meeting was held in the framework of the project “Collaboration with Universities”, organized by Enterprise Georgia.
- Our faculty representatives were attending this meeting. Bachalavr, master and doctoral program “Architecture” was presented by the dean of the faculty Architecture, urban palening and design Prof. Nino Imnadze.



# საერთაშორისო პროექტი

- არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე 2018–2019 სასწავლო წლის I სემესტრიდან ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურად ამოქმედდება ექსპერიმენტული სასწავლო კურსი: საზოგადოებრივი სივრცე ყველასთვის და არქიტექტურულ/ურბანული ტრანსფორმაციები (ინვაციები და ტექნოლოგიები)
- სასწავლო კურსის ხელმძღვანელი ნინო იმნაძე
- თანახელმძღვანელები:
- GEOBAY - ბავარიის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი არქიტექტორი კარლჰეინზ ბეერ;
- არქიტექტორი, დოქტორი იორგ ჰეილერი,
- არქიტექტორი იაკობ ობერპილერი.
- შ.პ.ს. „ბაზალტ ფაიბერის“ დირექტორი გიორგი გოგოლაძე
- ასოცირებული პროფესორი ნინო ჩაჩავა
- ასისტენტი, დოქტორანტი ანა ბიბილაშვილი
- არქიტექტორი, მოწვეული მასწავლებელი მამუკა ბარათაშვილი

კურსდამთავრებულები და სტუდენტების გამოკითხვა. ორივე შემთხვევისთვის არსებობს ან ახლად შეიქმნა კითხვარები

- მეგობრებო! კოლეგებო!
- მჭირდება თქვენი დახმარება უფრო სწორად ფაკულტეტს!
- ავტორიზაციასთან დაკავშირებით მჭირდება გასაუბრება კურსდამთავრებულებთან.
- 1. რომელ წლებში სწავლობდით.
- 2. რა მოგეწონათ სწავლის პერიოდში
- 3. რა არ მოგეწონათ
- 4. რა უნდა გამოსწორდეს ფაკულტეტზე
- 5. სად მუშაობთ და მუშაობთ თუ არა სპეციალობით
- წინასწარ მადლობა!
- PS.გთხოვთ თქვენ მეგობრებსაც გადასცეთ და გაავრცელოთ, ოღონც პირადში და მომწერედ მესინჯერში ან მეილზე imnadzenino@gmail.com

# საერთაშორისო მობილობა სტუდენტებისთვის: ERASMUS MUNDUS, ERASMUS +

- **ERASMUS MUNDUS**
- **გვანცა დავითაშვილი** - ბასკეთის ქვეყნის უნივერსიტეტი. Universidad del Pais Vasco ERASMUS MUNDUS-ის პროგრამა, პროექტი BACKIS
- **ვასილ შურაძე** - ლისაბონის უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. Faculty of Architecture/University of Lisbon. ERASMUS MUNDUS-ის პროგრამა, პროექტი TEMPO
- **გიორგი გაბუნია** - ლისაბონის უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. Faculty of Architecture/University of Lisbon. ERASMUS MUNDUS-ის პროგრამა, პროექტი TEMPO

- **ERASMUS +**
- 2015-16
- მარიამ შაიშმელაშვილი - შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (Middle East Technical University - METU)
- ანდრია ციციშვილი - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (Politecnico di Milano)
- მარიამ ცეცხლაძე - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (Politecnico di Milano)
- ნინო ლომსაძე - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (Politecnico di Milano)
- მარიამ ლობჟანიძე - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (Politecnico di Milano)
- თამთა შავიძე - ლისაბონის უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. Faculty of Architecture/University of Lisbon
- მარიამ მაღლაკელიძე - ლისაბონის უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. Faculty of Architecture/University of Lisbon

- 2016-17
- **ალექსანდრე გაჩეჩილაძე** - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (Politecnico di Milano)
- **ანანო კობახიძე** - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (Politecnico di Milano)
- **თამთა ჯუღაშვილი** - მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (Politecnico di Milano)
- 2017-18
- თამთა ანდღულაძე - შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (Middle East Technical University - METU)
- ირაკლი ფანცხავა - შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (Middle East Technical University - METU)
- **ვერიკო ბაბუციძე** - შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (Middle East Technical University - METU)
- **ანა ნუცუბიძე** - ვარშავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (Politechnika Warszawska - Warsaw University of Technology - WUT)
- **ბაჩანა ჩეხერია** - ლისაბონის უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. Faculty of Architecture/University of Lisbon
- **დავით უგრეხელიძე** - ლისაბონის უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. Faculty of Architecture/University of Lisbon – FA/ULisboa
- **ანა ბიბილაშვილი** - ლისაბონის უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. Faculty of Architecture/University of Lisbon – FA/ULisboa
- **თამარ სვანაძე** - ლისაბონის უნივერსიტეტი, არქიტექტურის ფაკულტეტი. Faculty of Architecture/University of Lisbon – FA/ULisboa

პედაგოგების მონაწილეობა გამოფენებში: ARCHITEXTURA-არქიტექსტურა! Contemporary ceramics exhibition.



ზაზა სვანაძე



გიორგი კვიწინაშვილი


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის
სტუდენტური თვითმმართველობა






RC
Free
0.5L






MAPEX
KORG


EL DIABLO



2017 წელს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა საინტერესო ტრადიციას ჩაუყარეს საფუძველი. სიმბოლურად შეიძინეს სამშენებლო ჩაფხუტები, რომელზეც პედაგოგებმა სამახსოვროდ ხელი მოუწერეს. საბოლოოდ ჩაფხუტები აყარეს.







2018 წლის გამოშვება

კარიკატურები ავტორი არქიტექტორი თენგიზ გოგოლაშვილი 2016–2017 წ.წ.

